პროექტი

საქართველოს კანონი

„საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების და დამატებებისშეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში (პარლამენტის უწყებანი, N11-12, 14. 03. 1998, გვ. 5) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. მე-5 მუხლის დაემატოს შემდეგი შინაარსის „ყ“, „შ“, „ჩ“, „ც“, „ძ“ და „წ“ ქვეპუნქტები:

„ყ) კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში განახორციელოს სასაზღვრო-პოლიციური ღონისძიებები;

შ) უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებების გატარება;

ჩ) მონაწილეობა მიიღოს ამბოხების, კონსტიტუციური წყობილების დამხობის ან ძალადობით შეცვლის მცდელობის და მოსობრივი უწესრიგობების აღკვეთაში;

ც) უზრუნველყოს ოფიცრის პირველადი სამხედრო წოდების მისანიჭებელი კურსების ორგანიზება და ჩატარება;

ძ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიღოს საგანგებო სიტუაციების უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების, აგრეთვე საგანგებო მდგომარეობის სამართლებრივი რეჟიმის დაცვაში;

წ) უზრუნველყოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ვადიანი სამხედრო მოსამსახურეებისთვის დისციპლინური გადაცდომისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევებისთის შეფარდებული ადმინისტრაციული პატიმრობის აღსრულება და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო მოსამსახურეებისათვის განკუთვნილი ადმინისტრაციული პატიმრობის ადგილების (ჰაუპტვახტის) დაცვა;“.

2. მე-7 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურის სამხედრო მოსამსახურეები სამხედრო სამსახურს გადიან „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და სარგებლობენ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოსამსახურეთათვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებითა და გარანტიებით.”

3. მე–7 მუხლის მე–8 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. საქართველოს საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამსახურში, როგორც სამართალდაცვის სპეციალურ გასამხედროებულ დაწესებულებათა სისტემაში, სამსახურის

გავლის დამაგებითი მოთხოვნები დგინდება სამხედრო სამსახურის გავლისა და საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის მარეგულირებელი კანონქვემდებარე აქტებით."

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი